წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. შაბათი 27 თებერვალი 1916 წ. № 45

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელ [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარს სახლში.
(102—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

სასტუმრო „ავრორა“
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია
სამზარეულო, ვანეში თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

პირველი წელი პირველი წელი
„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
სამ თვეში ერთხელ გამოვა
კაზმული და სამხატვრო კრებული
„მერანი“
კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული
„მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა
კიკნა-ფშაველის
პოემათა და ლექსთა კრებული—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და დ. კასრაძის კრიტიკული წერილით.
ეღირება ათ შაურად.
ხელის მოწერა შეიძლება—თბილისში: „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში; ალ. შარიკაძესთან—ტრამვაის მოსამსახურეებში; საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; ალ. ძაძამიასთან—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. თელავში—ნ. გოგოლაძესთან—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; თიონეთში—ი. რიბალაშვილთან—აფთიაქში; გორში—თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში—აფთ. ცინცაძესთან; პეტროგრადში—სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; დორპატში—სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში—სტუდ. ხაჩიძესთან და სხვა დაბა-ქალაქებში.

„წნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა
სასტუმრო ჯუგაანი
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და
ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—16 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

ვასწავლი
ქართულ „სიმღერა-გალობას“ ‍ დ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა
მიხეილ კავსაძესთან
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. ‍ დ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).
ვასწავლი მუშა ხალხსაც.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 25 თებერ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** გერმანელთა საკმაოდ ძლიერი რაზმი შეეცადა დვინაზე გადმოსვლას შლოსკოკენპუზენის მახლობლად, ფრიდრიხშტადტის აღმოსავლეთით, მაგრამ რუსთა მიერ უკუგდებულ იქმნენ. იაკობშტადტის ჩრდილო-დასავლეთით მტრის არტილერიამ სროლა აუტეხა რუსთა პოზიციებს. გერმანელთა მძიმე არტილერიამ ცეცხლი გაუჩინა დაბა ლევანპოფს და ცარგრადისა და ნიცჰალის შუა რკინის გზების რაიონს. ილლუქსტთან რუსთა მზვერავებმა მოსპეს მტრის სადარაჯოები და რამდენიმე ტყვეც იგდეს ხელთ. სტოლივის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსთა მზვერავები დღისით შეცვივდნენ მტრის თხრილებში, თხრილებში მყოფთა მეტი ნაწილი ამოჰხოცეს, ნაწილი კიდევ დაატყვევეს. იკვის ზემო რაიონში მტრის მზვერავთა რაზმი მიუახლოვდა რუსთა თხრილებს, მაგრამ მალე უკუგდებულ იქმნა. გალიციაში, ცებროვის რაიონში, ტერნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით, ღამით მტერმა საშინელი ქარიშხალისებური ცეცხლი გააჩინა და შემდეგ ისე წამოვიდა იერიშით, მაგრამ რუსებმა თოფის სროლითა და ყუმბარების მფრქვეველებით აიძულეს უკან წასულიყო. ამ შემთხვევაშიც რუსებს რამოდენიმე ტყვე ჩაუვარდა.

**კავკასიის ასპარეზი.** შავი ზღვის სანაპიროებზე რუსის ჯარებმა ოსმალთა ჯარები მდინარე კალაპატამოსის იქით გადაჰრეკეს.

---

**პარიზი,** 24 თებერვალი. საღამოთი მოსული ოფიციალი ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით გამნადგურებელი საარტილერიო ცეცხლი გავუჩინეთ მტრის საველე სიმაგრეებს კრანნის მაღლობებზე და პალის მიდამოებში, სუასონის ჩრდილოეთით. არგონებში უმთავრესად ცეცხლს ვუჩენდით გერმანელთა სიმაგრეებს ოტშევოშესთან და შეპის ტყეში. მდ. მაასის დასავლეთით გერმანელები მთელი დღის განმავლობაში სცდილობდნენ იერიშით წამოსულიყვნენ. მათ ზურგს უმაგრებდა ძლიერი არტილერია. საკმაოდ ძლიერი ჯარები წამოვიდნენ ბეტენკურის პოზიციებზე, მაგრამ მოვიგერიეთ. კორბოს ტყეში, რომელიც გუშინ წაგვართვეს გერმანელებმა, კონტრიერიში მივიტანეთ და ტყის მეტი ნაწილი დავიბრუნეთ. ამ ჟამად გერმანელთ მხოლოდ ტყის აღმოსავლეთი ნაწილი უჭერიათ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ძლიერი საარტილერიო სროლა განახლდა დუომონის რაიონში, სადაც გერმანელები ამაოდ სცდილობდნენ ფორტის აღმოსავლეთით გაერღვია ჩვენი ბრძოლის ხაზი. ქვეითი ჯარის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა აიღეს არდომონის სიმაგრე, რომელიც გუშინ გვქონდა დაბრუნებული. მაასის მწვერვალებზე ჩვენი არტილერია თამამად უბასუხებს მტრისას. ზემო ელზასში ხელით სასროლი ყუმბარებით შევძელით ზოგიერთი დაკარგული თხრილების დაბრუნება, რაც რომ გერმანელებმა ჯერ კიდევ 30 იანვარს წაგვართვეს სეკუას აღმოსავლეთით. ჩვენმა 16 ჰაეროპლანმა 180 ყუმბარა ჩამოაგდო მეცსაბლონის რკინის გზის სადგურზე, სადაც რამდენიმე მატარებელი იდგა. ფლოტილია მარჯვედ დაბრუნდა, მხოლოდ ერთი გაცურდა და დაბლა დაბლა ფრენით დაბრუნდა ჩვენს სანგრებში.

**პარიზი,** 24 თებერვალი. ჰავრის დეპეშა იუწყება: ვერდენის გარშემო ბრძოლა გრძელდება. ალაგ-ალაგ მეტად მძაფრი ხასიათს იღებს იგი. გერმანელთა იერიში, რომელიც ორშაბათს დაიწყო. ორთავე ფრთით ფორჟისა და ფრენის მხრით, გუშინ გაძლიერდა. საბოლოო ანგარიშში გერმანელთ ხელთ დარჩათ დიდი მსხვერპლის განწირვის შემდეგ მცირეოდენი გამარჯვება, რისაც ომის მსვლელობაზე დიდი მოვლენის მოხდენა არ შეუძლიან. მაასის დასავლეთით ფრანგთა თხრილების პირზე ბრძოლაა. ამავე სახელის პატარა მდინარე, ფორჟი, ადიდდა და მთელს ნაპირებზე გადმოხეთქა. ასეთს პირობებში ფორჟთან პოზიციების შენარჩუნებას თავისთავად მნიშვნელობა ეკარგებოდა, რის გამოც ჩვენმა ჯარებმა კიდეც დასტოვეს იგი და დელჟას მაღლობებზე გადავიდნენ. ჩვენი ჯარები აქ მოელოდნენ გერმანელთა იერიშებს. ეს ასეც მოხდა. გერმანელთ მეტად ძვირად დაუჯდათ ეს იერიშები. ჩვენი მთავარსარდალსაც სწორედ ეს ჰსურდა. რაც მათ აიღეს, ეს მათ მსხვერპლად სულაც არ ჰღირდა, რადგან ამ პოზიციებს ისედაც აიღებდნენ, ვინაიდან გერმანელთა ბატარეებს სამი მხრით შეეძლოთ დაეშინათ. ახლანდელი ხაზი ფრანგებისა მისდევს მორტომის მწვერვალებიდან, მიბჯენილია მაასზე, კიუმერის მაღლობთან. ვევრში ჩვენი პოზიციები ფრენთან, შეწეული იყო მტრის ტალღისკენ, ასე რომ მისი გარშემორტყმა ადვილად შეიძლებოდა.

**ათინა,** 24 თებ. კორფუდან ცნობა მოვიდა, სერბეთის ტახტის მემკვიდრე და პაშიჩი ამ ახლო მომავალში მიემგზავრებიან პარიზში, ლონდონში და ბოლოს რომშიო.

**კოპენჰაგენი,** 25 თებერ. ფეგელახდიდან იტყობინებიან, გერმანელთა 25 საომარი გემი ჩრდილოეთის მიმართულებით დასაზვერად გავიდა, გზას უჩვენებდა „ცეპელინი“.

22 თებერვალს 10 ჰაეროპლანი ყუმბარებს უშენდა ზეებრიუგეს.

**ბორდო.** მთაშავეთის მეფე საკუთარ მატარებლით მობრძანდა, იგი მიიღებულ იქმნა მეფურის პატივისცემით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რიჰარდ დემელის აზრი.**

გამოჩენილი გერმანელი პოეტი რიჰარ დემელი თავისს წერილში „An mein volk“ (ჩემს ერს) ამბობს:

„ჩვენ არა გვსურს რომ ჩვენი სული უცხოელთა სულს დაუმორჩილდეს. პირ-იქით ჩვენი წადილია მისი გავლენა გავავრცელოთ მთელს მსოფლიოზე, რადგანაც ვხედავთ, რომ იგი უფრო შესაფერი და გამოსადეგია ყოველივე ადამიანურის, კეთილის, მშვენიერის და უაღრესად ფაქიზ მისწრაფებათა განსახორციელებლად. ეს სული უფრო შესაფერია ყველა ამის განსახორციელებლად, რადგან სხვა ვერავინ თუ არა გერმანელები ვერ მიიყვანს კაცობრიობას ადამიანობამდე, ღვთაებრიობამდე. უამისოდ ხომ ყველანი განუვითარებელი მაიმუნები ვიქნებოდით. მხოლოდ გერმანელ სულს უნდა ვუმადლოდეთ ყოველ კეთილშობილურ სიკეთეს რაც გაგვაჩნია, ჩვენი შეგნება პატიოსნებისა, ჩვენი რწმენა თავისი-თავისა, ჩვენი გრძნობა ღვთაებრივისა და თავისუფლებისა ჩვენი არსებობა და ჩვენი თავგამოდებული მსხვერპლის განწირვა“.

ჩვენი გამარჯვება სიკვდილს კი არ გვაახლოვებს, პირიქით განამტკიცებს გარდუვალ სიცოცხლეს, რამდენადაც კი გარდუვალი უკვდავება შეიძლება დამყარდეს ჩვენს დედამიწაზე. ჩვენ გვესმის, თუ რას ნიშნავს ეს მსოფლიო ომი, ჩვენ ვიცით ეს უფრო სრულად, დაწვრილებით, ვიდრე რომელიმე სხვა ეროვნებამ. გერმანია მთელ ქვეყნიერობას ანიჭებს ხანგრძლივს მაგალითს მძაფრი ნებისყოფისას. აი რისათვის ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ეს არის მიზეზი ჩვენის გამარჯვებისა და არა ამდენი თუ იმდენი მილიარდი მარკა, არა ამა თუ იმ მიწა-წყლის დაპყრობა, არა მილიონობით დამორჩილებულ მცხოვრებთა რაოდენობა. თუნდაც ჩვენმა გამარჯვებამ რამდენიმე ათის წლით ცოტათი შეგვავიწროვოს—მერე რა უშავს? ჩვენი მაგალითი გადაეცემა მომავალ თაობას, იგი გამოიწვევს და აამოძრავებს ახალ ძალ-ღონეს, აღაფრთოვანებს შემოქმედებას გააფართოვებს საერთო ძალთა-ძალას არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მთელს კაცობრიობაში—ვიდრე ბოლოს და ბოლოს კაცობრიობა არ მომწიფდება მესამე მეუფება ზეციური, რომელზედაც ოცნებობენ მშვიდობიანობის მოციქულები და რომელსაც ნამდვილად ეწოდება: ევროპის სახელმწიფოთა კავშირი გერმანელთა სულიერ მეუფებისა“.

**იარაღი რუსეთისათვის.**

„შლეზვიგის გაზეთის“ ცნობით რუსეთს ამერიკისათვის შეუკვეთნია 32 ათასი ტყვიისმფრქვეველი, 130 მილიონ მარკად ღირებული. განზრახვა აქვთ დიდძალი გრანატები და შრაპნელიც შეუკვეთონ.

**აფეთქება სიმაგრეში.**

დუბლ-კურონის სიმაგრეში აფეთქებულა თოფის წამლის საწყობი. 22 ადამიანი იმსხვერპლა, 66 დაჭრილია. აფეთქება ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ ახლო-მახლო მიდამოებში სახლების ფანჯრები ჩალეწილა. ნანგრევების ქვებსა და აგურებს რამდენიმე კედელი გაუნგრევია. ახლო-მახლო გამვლელ-გამომვლელნი დაუხოცია. ტრამვაის ვაგონი 32 მგზავრი გადაუბრუნებია. მგზავრები დაშავებულან. აფეთქების ადგილას მხოლოდ პირდაღრენილი ღრმა ორმოღა მოსჩანს. ნანგრევებში 7 ჯარისკაცი დაუტანია.

**მაკენზენი იპრზე.**

გერმანული გაზეთების ცნობით მაკენზენი ეხლა დასავლეთის ასპარეზზე წასულა და იპრთან ინგლისელების წინააღმდეგ სამოქმედოთ გეგმას ადგენს. ვერდენთან ბრძოლა მხოლოდ ნიღაბია მოპირდაპირის თვალის ასახვევად, ნამდვილი შეტაკება კი იპრზე დაიწყებაო.

**გაბრიელ დ'ანუნციო.**

ამას წინად ცნობა მოვიდა, გამოჩენილი იტალიელი მწერალი გაბრიელ დ'ანუნციო ჰაეროპლანით დაზვერვის დროს თვალში დაიჭრაო. ეხლა იტყობინებიან, ჭრილობა მძიმე არ არის, დ'ანუნციოს მდგომარეობა უკეთესდებაო.

**მეფე ფერდინანდი.**

ამას წინად ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ვენას ესტუმრა და იქ ავად გახდა. გაზეთების სიტყვით მისი ავადმყოფობა ხანგრძლივად გასტანს.

**ვილჰელმი და რუმინეთის მეფე.**

გაზეთების სიტყვით რუმინეთის მეფეს ვილჰელმისაგან მიუღია დეპეშა:

ბუქარესტში მყოფი ჩვენი ელჩი ბარონი ფონბუში ინახულეო. მეფეს სწყენია დეპეშის კილო, ამ დარბაზობის ნაცვლად თავის სატახტო ქალაქიდან სანაიოს სასახლეში გამგზავრებულა და პასუხად შეუთვლია: მართალია გვარით ჰოჰენცოლერი ვარ, მაგრამ მე უპირველესად რუმინეთის მბრძანებელი ვარ და როგორც ასეთს არ შემიძლიან არ მივდიო ჩემი ქვეყნის მთავრობის პოლიტიკასაო.

## უკანასკნელი ფოსტა

**რიზეს გარშემო.**

რიზეს აღების გამო „პრავ. ვესტ.“-ი სწერს: რიზეს აღებით ჩვენი გზა ტრაპიზონისაკენ მოკლე გზას გვაძლევს. ოსმალებს მაშველი ჯარი მხოლოდ ზღვის პირით შეიძლება მოიყვანონ რიზა-ტრაპიზონის გზით. აქ გზა მთაგორიანია. ოსმალთა ჯარი ტრაპიზონისაკენ იხევს და თუნდაც მრავალრიცხოვანი იყოს, მას ფართედ გაშლა არ შეუძლიან.

შუმსკი სწერს: რიზეს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ნავთსადგურს, რომელიც ტრაპიზონიდან 65 ვერსით არის დაშორებული. დანარჩენი ლაზისტანის დაპყრობა რამდენიმე დღის საქმეა.

**ვერდენის გარშემო.**

საფრანგეთის მთავარ ბანაკის აფიცრებს „ნ. ვ.“-ს თანამშრომლისათვის განუცხადებიათ, გერმანელები ვერდენის აღებას ვერ შესძლებენო.

„რეჩ“-ი სწერს: სამხედრო საქმის მცოდნეთა აზრით ფრანგებმა რომ მაასის მარცხენა ნაპირზე ვე[illegible]ს ნახევრით უკან დაიწიეს ამით მათი მდგომარეობა არ იცვლებაო. ეს ბრძოლის ხაზის გასასწორებლად იყო საჭიროო.

ვერდენთან ბრძოლის გაჭიანურებაც ადასტურებს, რომ გერმანელებს ანგარიში აერიათ.

სიმაგრის აღება საქმის მდგომარეობას არა სცვლის. მართალია ვერდენის მდგომარეობა მეტად სერიოზულია მაგრამ იგი მკვიდრათა სდგასო.

## ბრძოლის ველზე

დასავლეთის ასპარეზით გერმანელთა თავგანწირული შეტევა, რომელიც ვერდენის გარშემო სწარმოებს ოდნავათაც არ სუსტდება. ფორჯის და ფრენის რაიონში ორშაბათს დაწყებული ბრძოლა, ფრანგების უკან დახევით დასრულდა. ფრანგთა ცნობით ეს უმნიშვნელო გამარჯვება გერმანელებს ძვირად დაუჯდათ. ფორჯი ამავე სახელის მდინარეზედ მდებარეობს, ნიადაგი აქ მეტად ჭაობიანია და მისი აღება რასაკვირველია პატარა სიძნელეს არ წარმოადგენდა. ფორჯის პოზიციებს, ფრანგული ცნობით, ფრანგებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონიათ. რაც ვერდენის გარშემო მომქმედ ჯართა სტრატეგიულ განწყობილებას სავსებით არ ეთანხმება. მიტოვებულ პოზიციებიდან ფრანგები გადასულან დელუას მაღლობებზედ, სადაც მათ გერმანელების ცდა დიდხანს არ დასჭირებიათ. გააფთრებული იერიშებით გერმანელები ამ მაღლობებსაც იჭერენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ვინაიდან ამ მაღლობებს გერმანელები თითქმის შემოერტყენ და ზარბაზნის ცეცხლით იქ მომქმედ ფრანგებს სრულს განადგურებას უქადიდენ. წინ წაიწიეს გერმანელებმა მდინარე მაასის ნაპირებითაც და ამ ჟამად ფრანგების პოზიცია მურტომის და კიუმერის მაღლობებს ემყარება. ფრენის მახლობლადაც ფრანგების პოზიცია გერმანელთაგან დაკავებულ მიდამოებში იყო შეჭრილი და ხაზის გასასწორებლად ფრანგებმა ეს მიდამოებიც მიატოვეს.

რუსეთის ფრონტზედაც გერმანელები მოქმედებას აცხოველებენ. მათი რაზმები შლოკ-კოვენ-ხუაზენის მახლობლად მდინარე დვინის გადალახვას ლამობენ. იაკობშტადტის ჩრდილოეთით გერმანელები არტილერიის ცეცხლს აძლიერებენ. ლევინგოფი, სადგური ცარგრადი და ნიცგალი მძიმე არტილერიის ცეცხლშია. გალიციაში, ცერბოვის მახლობლად, ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით, არტილერიის ცეცხლის საფარში გერმანელები სცდილობდენ რუსების პოზიციები იერიშით აეღოთ, მაგრამ დიდი ზარალით უკუგდებულ იქმნენ.

კავკასიის ფრონტზედ ზღვის სანაპიროებზედ რუსის ჯარებმა ოსმალონი მდინარე კალაპატამის იქით გადარეკა.

X.

## თბილისი, 27 თებერვალი

უკვე არავისთვის საახალი გზით. იდუმლოებას არ შეადგენს, რომ „კლდე“, „საქართველო“ და „სამშობლო“-ს მიერ შექმნილ პოლიტიკურ-სოციალურ მიმართულების გარშემო თავს იყრის თითქმის ყველა ის ელემენტები, რომელნიც ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში რეალურ საქმიანობას ეწევიან.

სოფლის მეურნე, მრეწველი თუ ვაჭარი—ერთი სიტყვით ყველა ის, ვინც თავისი სოციალურ-პოლიტიკური შემოქმედებით თანამედროვე ცხოვრების ძირითად საფუძვლებს ემყარება, ამ მიმართულების გარშემო იკრიბება. ამ სხვა და სხვა ელემენტებს ერთი რამ აერთებს—ყველა იმათ თვით ცხოვრების უტყუარ გაკვეთილებით აქვთ შეგნებული, რომ სოციალ ცხოვრების საფუძველს მისი ეკონომიური ურთიერთობა შეადგენს და ქონებრივად [illegible] მსოფლიოს მომავალზედ, აბა სხვა ვინ გაუბედნიერებია, რომ ჩვენ გაგვაკეთოს.

უტყუარი საბუთები გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული რეალი საქმიანობაც ილვიძებს და მოძრაობაში მოდის. არსებული ბანკები თავის გარშემო მეტს და მეტს ძალებს იკრებენ, არსდება ახალი დიდი ბანკი, რომელიც ჩვენი ერის ეკონომიური ძალე-[illegible]

## პრესის მიმოხილვა

[illegible] გონა, რომ სახალხოსნებსავით მოსოციალისტე ხალხი არც ერთ ქვეყანაში არ მომრავლებულა ისე, როგორც ჩვენში. მოდით და აწი თევდორე ღლონტის „წითელი აჩრდილის“ ნუ შეგეშინდებათ!

## დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**„რუსსკია ვედომოსტის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: გერმანელთა მთავარი გეგმა გამორკვეულია, ისინი სცდილობენ ვერდენის ციხეს გარს შემოერტყნენ.**

—

**ბალკანეთის ჟურნალ-გაზეთობა განიხილავს კავკასიის ფრონტზე მომხდარს ამბებს. სიმპატიით ეგებება მოკავშირეებს. წინასწარვე განსჭვრეტს, რომ რუსებისა და ინგლისელთა ჯარების შეერთების შემდეგ ტრაპიზონისა და ალექსანდრეტისკენ წინსვლას განაგრძობენო. მათის აზრით ალექსანდრეტი გახდება მეორე სალონიკად. გერმანოფილური გაზეთები გულს არ იტეხენ, აიმედებენ მკითხველს ოტომანთა სააგენტოს აღთქმებით, რომ გოლდც ფაშა მალე გაარღვევს მტრის ლაშქარს, რუსის ჯარებს ზურგით მოექცევა და შტაბის მთავარ სადგომს თბილისში გადაიტანენო.**

—

**დიდი მსჯელობაა როძიანკოს ცარსკოე სელოში უკანასკნელ გამგზავრების შესახებ. დაბრუნებისას როძიანკომ ითათბირა პროგრესიულ ბლოკის პარტიის ლიდერებთან.**

—

**მემარჯვენეები მოსკოვში აპირებენ მონარქისტთა უდიდეს ყრილობას, როგორც ეს ჰხდებოდა ძველად. მოსკოვში მოელიან აუარებელ სამღვდელო პირთ და ორი ათას გლეხობას.**

—

**სახელმწიფო სათათბიროს კომისიის მიერ ერთხმად მიღებულ იქმნა კავკასიაში მომავალ ერობის საკანონმდებლო გეგმა. მარტში მოიწვევენ განაპირა ქვეყნების წარმომადგენელთ.**

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება სურათები: დათვის მსხვერპლი, იერიში, არტილერიის ბრძოლა, 42 სანტ. ზარბაზნები და რამდენიმე კარიკატურა „ახალ კლუბის“ გარშემო და სხვა. ლექსები: დუტუ მეგრელისა, კიკნა-ფშაველასი, ია ქართველიშვილისა და სხვათა. „მწყემსი დედოფალი“, ოსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი.**

## ახალი ამბავი

**◆ კერძო თათბირი.** 25 ამა თვეს ხელმეორედ შესდგა კერძო თათბირი კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა ერთი ჯგუფისა. ლაპარაკი იყო საზოგადოების თანამდებობის პირთა კანდიდატურაზე. უგ- თავ. პ. ა. გრუზინსკის უარი გან[illegible] [illegible] კენჭი უყარონ პრე[illegible] თანამდებობაზე. ვიცე-პრეზიდენტად კრებამ დაასახელა თავ. ა. ა. სუმბათაშვილი, ხოლო საბჭოს წევრებად ს. ნ. ყაზახაშვილი და ბ-ნ დორმანი.

**◆ პურს ფასი მოემატა.** საგანგებო თათბირზე, რომელიც გუშინ, 26 ამ თვეს, ბ-ნ თბილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, დაადგინა ყველა ხარისხის 1 გირვანქა პურზე მოემატოს ფასი ნახევარი კაპეიკი. ამასთანავე თათბირზე გადაწყდა, რომ ის მეპურეები, რომელნიც ეხლავე არ შეუდგებიან პურის საკმაოდ გამოცხობას და ისეთსავე საშუალებას მიმართავენ პურის გასაძვირებლად, როგორსაც ამ დღეებში მიმართეს, ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულ იქმნან.

**◆ „ახალი კლუბი“.** 25 თებერვალს შესდგა მამასახლისთა ახალ საბჭოს კრება პრეზიდიუმის ასარჩევად. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგად და ხაზინადრად—მ. ნ. კვეზერელი კოპაძე, მდივნად ბ-ნი მონასელიძე.

**◆ წლიური კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, წლიური კრება მოხდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს საზოგადოების 1915 წლის მოქმედების ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში და აირჩიოს საზოგადოების პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და საბჭოს 2 წევრი.

**◆ სიკვდილით დასჯა.** 25 თებერვალს დილის 4 საათზე სისრულეში მოიყვანეს: კავკასიის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობა) ჰქონდა მისჯილი ძარცვა-გლეჯისა და ავკაცობისათვის **ივანე მაისურაძეს, ევტიხი (ისიხი) სიხარულიძეს და იაკინთე სალუქვაძეს.** ეს ორი უკანასკნელი ოზურგეთის მაზრიდან იყვნენ და შეიპყრეს ნავთლუხში ივანე ჩოდრის გაძარცვის დროს. ევტიხი სიხარულიძე ცნობილ ზაკუსოვის დროს ოზურგეთის ქალაქის პოლიციელი იყო.

**◆ ქართული კონცერტი „ახალ კლუბში“.** კვირას, 13 მარტს, სასულიერო სემინარიის ქართველ მგალობელთა გუნდი „ახალ კლუბში“ მართავს სასულიერო კონცერტს ცნობილ მუსიკ. ია კარგარეთელის ხელმძღვანელობით. შემოსავალი კონცერტისა გადიდება ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

**◆ რედაქციამ მიიღო** დუტუ მეგრელის დრამა პოემა 5 მოქ „მწირი სარდალი“. იოსებ იმედაშვილის გამოცემული. წიგნი შეიცავს 66 გვერდს და ორ აბაზად ღირს.

## სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 32)

ს. მგალობლიშვილს თავის მოთხრობებში აზნაურების წარმომადგენლებიც ჰყავს გამოყვანილი. ერთ მათგანს, მიხას, რომელიც გლეხურს ცხოვრებას, გლეხის მსოფლ-მხედველობას, მუშაობა-გამრჯელობას ისე შეეთვისა და შეურიგდა, როგორც გლეხი, მწერალი დიდის სიყვარულით და თანაგრძნობით აგვიწერს. მიხა ნამდვილი სოფლის შვილია; ის ჩაბმულია სოფლის ცხოვრებაში ისე, როგორც გლეხი. მიხა გლეხს უყურებს, როგორც თავის ძმას, მეზობელს, თანასწორს, სულ იმათთან არის და მასთან ერთად იზიარებს ჭირ-ვარამს, სიამოვნება-სიხარულს, მასთან ერთად ებრძვის სოფლის მტრებს და მჩაგვრელებს. დარიბებულ-გაღატაკებული აზნაურის შვილმა,—მიხამ ხელი მიჰყო მხნეობას, ოჯახი შემოატრიალა... გლეხებსაც ძმურად უყვარდა მიხა. სულს არ იშურებდნენ მისთვის. მწუხარების, გაჭირვების დროს მას ძვირად აფასებდნენ. „გაჭირვების ტალ-კვესია, ჩვენი მიხაო“, იტყოდენ ხოლმე.

მიხა პირში მთქმელი და პირდაპირი კაცი იყო. ვისიმე ცუდი საქმე და ცუდი საქციელი მიხას ერთ წუთს მოთმინებიდან გამოიყვანდა ხოლმე, მაშინვე დამნაშავეს ყრონჭში მივარდებოდა. მიხა უფრო გულს უჯერებდა. ყოველივე უმსგავსობა მალე აღელვებდა. მიხა გამბედავი და უშიშარიც იყო, ის სიამოვნებით ასრულებდა იმას, რაც ხალხს უნდოდა გაეკეთებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ვერ ბედავდა. „მერუე შეაწუხებდა გლეხს და თავის დროზე არ მისცემოდა წყალს,—გამოუჩნდებოდა მიხა და ტალახში ამოსდებდა; ურია მოატყუებდა პატარძლებს ფართალში, აქაც მიხა—და არშინით ბეჭებში ბრაგი-ბრუგით დასძრავდა. მოურავი შეაწუხებდა ხალხს, დახვდებოდა მიხა სადმე ორღობეში და კარგად გასახრავდა. ერთხელ ერთმა სისხლის ჯვრიანმა მოურავმა ძლიერ აწყენინა სოფლელებს, მიხას ყელში მოადგა ბრაზი, შეხვდა ორღობეში და გადაუღობა გზა.

„—მომეცა შე მხეცო, გზა დამიცალე!“ უჭყივლა ჯვრიანმა. მიხამ არც აცივა, არც აცხელა და მიაყოლა სახრეები. ააგლიჯა ჯვარი და ტალახში ისროლა.

„— კიდევ დააწიოკებ ქვრივ-ობლებს, კიდევ, ჰა? და სცემა რაც შეეძლო“.

გარეგნულად მიხა ძალიან მოხდენილი, სასიამოვნო სანახავი ბიჭია: მაღალი, თხელი განიერი მხარბეჭი, ქერა სახისა; თმა ხუჭუჭი, თითქოს ძალათ გაუკეთებიათო, გადმოყრილი ჰქონდა ფართო და მაღალ შუბლზე: ცხვირი ნამდვილი ქართული, სურათი, ცოტათი შუა ალაგას აკეხილი: თვაცის ფერი, რომლებითაც კაცს, რო უცქერის, ელაპარაკება. მინამ ლაპარაკს დაიწყებს, თვალები გაგრძნობინებს, რისი თქმაც სურს მათს პატრონს.

მიხა საშინელი თავ-დაუზოგველი და მარდია, ხეზე როგორც ფრინველი, ისე ავარდება ხოლმე. შემთხვევის დროს, მაგ. ჩხუბში, რაც კაცთან რომ მოსვლოდა ჩხუბი, ერთ ჯოხს არ დაირტყამდა, სხვები კი სულ თავებ დამტვრეულები წავიდოდნენ („ცეცო“, გვ. 48—50) მიხა დაუმეგობრდა სოფლის საუკეთესო გლეხს—ცეცოს; მათ ერთად ფიცი დასდეს შებრძოლებოდნენ სოფლის მტრებს—მებატონეს და მის მოურავს, ბერძნის ბერებს და მათ „უპრავლიაუშჩებს“. მიხამ და ცეცომ გლეხებიც შეაგულიანეს და პირი შეაკვრევინეს ერთმანეთთან, რომ „რაც გადაუხდიათ მეტს ნუ მისცემენ“ მჩაგვრელებს და ვინიცობაა ძალით თუ მოინდომეს წაღება, დაუსჯელად ნუ გაუშვებენ. სოფლის ამ განაჩენის განხორციელება ჩვენმა გმირებმა იკისრეს და პირნათლადაც შეასრულეს.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, როგორც ერთხელ გლეხი ცეცოც დაეკითხა თავის-თავს: „რა ვქნა, მიხას რაღა-სჯის? ის ხომ აზნაურია, იმის მამულს ხომ ღალა-კულუები არ ერთმევა და რაზე იწუხებს სოფლისთვის თავსო?“

ასეთს შეკითხვაზე თვით ავტორი იძლევა შესაფერს და სრულიად დამაკმაყოფილებელ პასუხს: „მიხა იმიტომ იკლავდა თავს, რომ მისი მამულები სულ ბლუნძლაშვილსა ჰქონდა ხელში ჩავარდნილი თავისი სულელი ძმის წყალობით; ერთი ვენახი ფიდუას ეჭირა; ბერძნის ბერებმა მის მამა-პაპას სული ამოართვეს მამულის დავაში. თუმცა ვერ ჩამოართვეს, მაგრამ იძულებული იყვნენ, რომ მამულები გაეყიდნათ ნემსის დანაფასევად, რადგან დავიდარაბაში ფული იყო საჭირო. ყველა ეს დარჩენილი იყო მიხას გვარში; ყველა ამას ეუბნებოდნენ თავის შვილებს და ამიტომ, როგორც მიხას, ისე ფვითეულს მის საგვარეულოთაგანს, სძგდათ ბერების მოადგილე „უპრავლიაუშჩები“ და მათი შემწე გლეხები, რომელნიც ხალხის ხარჯით სცხოვრობდნენ და რომელთაც ხალხისავე ძარცვა-გლეჯით შეიძინეს ქონება. გლეხობასაც ეს გვარეულობა საშინლად უყვარდა, ხათრი ჰქონდა და პატივსაც სცემდა“ („ცეცო“, გვ. 84).

ამ პასუხით ავტორმა ჩვენთვის ნათელჰყო მიხას მხატვრული სახე. ამ პასუხის შემდეგ ყველასათვის ცხადია, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა და გაიზარდა მიხას გვარეულობის და კერძოდ თვით მიხასი გლეხებთან ძმობა და კავშირი. ცხოვრების ცვალებადობამ და ვითარებამ მიხა ეკონომიურად გაათანასწორა გლეხებთან; ადამიანთა უსინდისობამ და უსამართლობამ მასშიაც, როგორც გლეხებში, ჩააკვესა ნაპერწკალი და მერე გააჩაღა ალი უკმაყოფილებისა და საბრძოლველად გამოიყვანა. თავის დაცვის ალღომ მიხა დაუახლოვა ღ შეუსისხლხორცა სოფლის იმ ელემენტებს, რომელიც თავის მარჯვენით და პატიოსანის შრომით სცხოვრობდა და რომელსაც საბოლოოდ უნდა დარჩენოდა ცხოვრების ბურთი და მოედანი. მიხა სოფლისთვის დიდად საჭირო შეიქმნა. სოფლის გლეხობას, საუკუნოებით დაჩაგრულს, მოთმინებას და მორჩილებას მიჩვეულს, თავდა პირველად აკლდა აქტივობა, საჭირო გაბედულობას ვერ იჩენდა ბოროტებასთან ბრძოლის დროს. მიხამ კი თავის მოქმედებით სოფლის ცხოვრებაში ერთი მემკვიდრეობით თან დაყოლილი კარგი და მოსაწონი თვისება შეიტანა, რომელმაც სოფელი გადაახალისა. ეს იყო მისი თავდაუზოგველობა, გამბედაობა, „შარიანობა“, როგორც მიხას პირდაპირობას და უშიშრობას თვით გლეხები უწოდებდნენ. ცეცო,—ეს ღვიძლი შვილი ბევრის მომთმენი და ბევრის მნახველი სოფლელ გლეხისა,—თავის პირით და საქმით ელაპარაკებოდა გლეხობის ჭკუას, იმინს ტვინს; მიხა კი ამოძრავებდა გლეხის ნების-ყოფას და მაგალითს იძლეოდა იმისას, რაც ხალხს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ბედავდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ დროს, როდესაც დაიბეჭდა „ღამის მეხრე ცეცო“ (დაიბეჭდა 1887 წ.), მაშინ ტიპი სოფლის აზნაურისა, რომელიც ასე შესისხლ-ხორცებულ-შეთვისებულა სოფელთან, ერთი პირველთაგანია ჩვენს ლიტერატურაში. მიხას პიროვნებაში მწერალმა ნათლად დაგვანახვა, რომ არა აზნაურობა თავის-თავად და არა შთამომავლობა ჰქმნის ქართველ მკლავაძეებს ცხოვრების ხორც-მეტად და ბალილებად, არამედ ფუქსავატური დროს გატარება, ეკონომიური უპირატესობა და წოდებრივი განცალკევება. თუ აზნაურმა ცხოვრებას ალღო აუღო, შრომას და ჯაფას დაეწაფა და თავი განითავისუფლა მემკვიდრეობით გადმოცემული აზნაურული აზროვნებისაგან და ტრადიციებისაგან, მაშინ ის ისეთივე სასარგებლო და საიმედო წევრი იქნება ჩვენი სოფელისა და საზოგადოებისა, როგორც შრომის შვილი—გლეხი.

მიხას ტიპის დახატვაში ავტორმა გამოიჩინა შესამჩნევი მხატვრული ზომიერება და ბუნებრივობა. როგორც ეტყობა, მიხა არ არის ნაყოფი რეფლექსიისა და წინდაწინ დასახულ განყენებულ მოსაზრებისა. ის ცოცხალი არსებაა. მართალია, მისი იდეალური ტიპია (თუმცა მწერალმა მისი ნაკლიც გვიჩვენა—შარიანობა სიამაყე), მაგრამ ს. მგალობლიშვილმა ეს ტიპი ისე მიაკრა მიწას, წრეს, ეპოქას, რომ ეს იდეალური სახე იხსნა იმ უსისხლხორცო იდეალიზაციისაგან, რომლისგან ვერ იხსნა თვით ილ. ჭავჭავაძემ თვისი გმირი არჩილი „ოთარაანთ ქვრივში“.

ს. მგალობლიშვილს ამ უპირატესობას ჩვენ მისი ნიჭის განსაკუთრებულ სიძლიერით კი არ ვხსნით, არამედ სოფლის ცხოვრების ცოდნით და დაკვირვებით.

სამწუხაროდ, ჩვენმა მწერლებმა ვერ ისარგებლეს ჩვენი ცხოვრების ამ ახალ ტიპით, ვერ გააღრმავეს და ვერ გაართულეს ის. ჩვენ დღესაც არ მოგვეპოვება მიხაზე უფრო დასრულებული და გასაზოგადოებული ტიპი მშრომელის აზნაურისა.

მხოლოდ გვაგონდება ერთი ასეთი ტიპი—კოწია—დუტუ მეგრელის ერთ მოთხრობაში. დუტუ მეგრელს ასეთი ტიპი უფრო გაკვრით აქვს აღნიშნული, ვინემ ს. მგალობლიშვის.

საზოგადოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენი მწერლები იშვიათად იცნობენ საფუძვლიანად თავის წინამოადგილეების ნაწერებს. ქართველი მწერალი თავს არ იწუხებს შეისწავლოს სხვებისაგან შექმნილი ტიპები. ბევრი მათგანს უსარგებლოდაც მიაჩნიათ ასეთი გვარი შესწავლა, წარსულში ჩხრეკა ძიება იმ ყალბის რწმენით, რომ წარსულში თითქმის არაფერია საყურადღებო და ღირებულიანი. ასეთი შეხედულობა სხვას რას უნდა მოწმობდეს თუ არ ჩვენი ლიტერატორების შეუგნებლობას და სიზარმაცეს. ყველამ ვიცით, რომ ქართველი მწერლები: ჟურნალისტები, პოეტები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები იშვიათად კითხულობენ სხვა რამეს, გარდა საკუთარის ნაწარმოებისა, იმისთვის რომ თავიანთ თავი გენიოსებად მიაჩნიათ, სხვები კი უფრო ტრედიაკოვსკებად.

ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ იშვიათად შეხვდებით სადმე სხვა ერებში თავის მშრობლიურ ლიტერატურის და საზოგადოდ მწერლობის ისეთს უცოდინარ მწერალს, როგორც ქართველი მწერალია.

ისტორიული პერსპექტივა, ისტორიული თანდათანობა და გართულება გაშუქება აზრ-იდეისა და სახისა ჩვენს ლიტერატურაში თითქმის არ არსებობს; მაშასადამე, ჩვენს მწერლებს წინმსვლელობა არ ეტყობა. ამისათვის ლიტერატურა ჯეროვანად ვერ იზრდება, ვერ ვაჟკაცდება, სრულ ასაკობაში ვერ შედის. ეს კი ჩვენი „ნაცარ-ქექიობის“ ნაყოფია და არა ჩვენის უნიჭობის.

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

◆ **ხმოსანთა არჩევნების შესახებ.** დღეს, საღამოს 6 საათზე, მე-11 და მე-12 საპოლიციო ნაწილის ამომრჩევლებს კრება ექნებათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **სახალხო ბიბლიოთეკა.** წერა-კითხვის საზოგადოების საგამომცემლო სექციამ გადასწყვიტა გამოსცეს სახალხო წიგნები, რომელთაც სათაურად ექნება „სახალხო ბიბლიოთეკა". წიგნაკები იქნება სხვა და სხვა სამეცნიერო დარგიდან. ხვალ, საღამოს 8 საათზე, სექციის მიერ მიწვეული არიან ქართველი ექიმები თავიანთ სპეციალ დარგიდან თემების შესამუშავებლად. როცა საერთოდ ყველა სამეცნიერო დარგიდან გამომუშავდება თემები, საზოგადოების გამგეობა გამოაცხადებს კონკურსს საუკეთესო წიგნაკებზე.

◆ **წერა-კითხვის** საზოგადოების განყოფილებას გუდაუთში გადაუწყვეტია მიმდინარე წლის ენკენისთვიდან გახსნას გუდაუთში პირველდაწყებითი სკოლა და ამ საქმისათვის ფულიც შეუგროვებია. ქალაქს უფასოდ დაუთმია ადგილი სკოლის შენობის ასაგებად. განყოფილება ცდილობს შენობის აგებას ეხლავე შეუდგეს, რათა ენკენისთვემდე შენობა მზად იყვეს. სანამ საკუთარი შენობა აიგება, სკოლა კერძო შენობაში იქნება მოთავსებული.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ დაადგინა 25 ამა თვეს გაუგზავნოს: 1) ბათომის განყოფილებას 500 მანეთი სკოლების სასარგებლოდ, 2) ბორჩალოს განოფილებას 500 მანეთი სოფელ რეხასათვის საკვების შესაძენად, 3) თელავის განყოფილებას 100 მანეთი, 4) სამტრედიის განყოფილებას 100 მანეთი წვრილ ხარჯების დასაფარავად და 200 მანეთი საკვირაო სკოლისათვის, 5) ახალქალაქის განყოფილებას 100 მანეთი და 6) კავკასიის ქალთა საზოგადოების ქართულ სექციას უსასყიდლო სასადილოსათვის 108 მანეთი.

◆ **უპურობა თბილისში.** უკანასკნელ 2—3 დღის განმავლობაში ერთობ ცოტა პური ცხვება თბილისში. ზოგიერთმა მეპურეებმა მთლად შესწყვიტეს პურის ცხობა. 250 მეთორნეთაგან გუშინ მხოლოდ 20-დე მუშაობდა. ამბობენ ზოგმა მეფურნემაც დაანება მუშაობას თავიო. საცა კი მუშაობაა იქაც ცოტას აცხობენ პურს. აუარებელი ხალხი დღე და ღამ აწყდება ფურნეებს და პურის ყიდვის რიგს ელის. პურს ცოტ-ცოტას აძლევენ ხალხს, მაგრამ ბევრს ცოტაც არ ერგება ხოლმე. ბევრს ფურნეში ჩხუბი და აყალმაყალი ხდება. პური ყოვლად უვარგისია, მაგრამ მშიერი ხალხი ამითაც იკმაყოფილებს თავს, ოღონდ კი იშოვოს. თავი და თავი მიზეზი ყოველივე ამისა ის არის, რომ მეპურეები ნიხრის გადიდებას თხოულობენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ თავიანთი გაიყვანონ. გარდა ამისა თბილისში ამ ჟამად მომეტებულ ნაწილად ქერჩიდან მოტანილი ფქვილია, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, თორნეში არ ცხვება და მეფურნეები კიდევაც რომ ბლომად აცხობდნენ, ისინი ვერ აუთავდებიან მთელ თბილისს. გუშინ გუბერნატორს თათბირი ჰქონდა ქალაქის წარმომადგენელებთან; საკითხი თუ არ მოწესრიგდა, მდგომარეობა სერიოზულ ხასიათს მიიღებს.

◆ **შემოტანილია** თბილისში 25 თებერვალს: ფქვილი 15 ვაგ., ქერი 2 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., შეშა 3 ვაგ., თამბაქო 4 ვაგონი.

### ქუთაისი.

28 თებერვლისათვის ქუთაისში განზრახული „გასამართლება ერეკლე II"-სი გადაიდო ახლო მომავლისთვის. გასამართლებაში სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, შალვა მესხიშვილი, ალ. გარსევანიშვილი. გ. ნათაძე, ვ. აბაშიძე და სხვანი.

— კვირას, 28 თებერვალს ქუთაისში გამოვა ჟურნალი-ალმანახი შემდეგის შინაარსით: I **პოეზია:** ია ეკალაძე—შვილი მუშა ბოქულაძისა, ნ. ჩხიკვაძე—განცდა მგოსნისა, გ. ტაბიძე—კოშკი, ვ. რუხაძე—მე ბუნების მიჯნური ვარ, გ. მეგრელიშვილი—ქურუმი, ლადო მაჭავარიანი—მზე-ქალი, მ. ანაშვილი—მოგონება და სიმ. წეველი—გედი. II **პროზა:** დემნა შენგელაია—მემონის ძეგლი, ნიკ. ასათიანი—ფურცელი სიყვარულისა, ნ. მიწიშვილი—ძველი ლეგენდა, ვ. ჰითავა—და-ძმა, ბ. მირზაშვილი—ვარდი და ირ-დი—პირველი ნაბიჯი. III **კრიტიკა**, IV ბიბლიოგრაფია და მიმოხილვანი.

— როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ, იქ გაჩენილან ჩარჩი-ვაჭრები, რომელნიც მცხოვრებთ ყალბ აბრეშუმის თესლს იაფად აწვდიან. თუ ამას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა სოფლელები დიდ ზარალს ნახავენ, როგორც ეს ხდება ყოველ წლობით.

**საინგილო.**

წ.-კ. საზოგადოების სკოლების გამგის ბ. ბურჭულაძის მისვლას სკოლის გასახსნელად ხალხი და ინტელიგენცია დიდის აღტაცებით შეეგება. დიდი ხნის სურვილი ადგილობრივ ინტელიგენციისა ასრულდა. სკოლა გაიხსნება სოფელ თასმალოში, რომელსაც ირგვლივ აკრავს კიდევ ორი სოფელი მუსულმან ინგილოებით დასახლებული ლალაფაშა და და ძაგამი. არც ერთს ამ სამთაგან სოფელში დღემდის სკოლა არა ყოფილა. სკოლა ენკენისთვიდან გაიხსნება. საჭიროა მხნე და გამოცდილ მასწავლებლის დანიშვნა, რომ ეს პირველი სხივი ეროვნულის სკოლისა ისეთ ნიადაგზედ დასდგეს, რომ თითით საჩვენებელი იყვეს ყველასათვის.

## გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"

თბილისში დაარსდა ახალი გამომცემელი ამხანაგობა **„საქართველო"**; ამხანაგობას მიზნად აქვს **დასახული ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა, ბროშიურებისა და სხვათა გამოცემა.** ამხანაგობის **ძირითად თანხას შეადგენს 100,000 მანეთი**, რომლის გადიდება საჭიროების დაგვარად შეიძლება. **სრული ამხანაგის** პაი ღირს 300 მან.; **ჩვეულებრივი ამხანაგისა**—50 მან.

ამხანაგობა დაარსდა შემდეგ პირთა თაოსნობით: **ივ. სპ. ელიაშვილი,** (თბილისი), **თ-დი იოსებ იულ. დადიანი** (ბაქო), **ნიკ. იოს. ჯაყელი** (ბაქო), **ლევ. ქაიხ. მამულაშვილი** (ბაქო), **თ-დი იასონ მერაბ. ლორთქიფანიძე** (კავკავი), **რაჟდენ ყარამ. დათეშიძე** (ქუთაისი), **გიორ. ის. პურადაშვილი** (ქუთაისი), **დიმ. ზაქ. ჰიაბრიშვილი** (პეტროგრადი), **ალექ. თევდ. ყიფშიძე, გრიგ. ზაქ. ქურდიანი, ადამ ზურ. ბერელაშვილი, ილია მიხ. ხარაშვილი, იოს. იოს. გველესიანი, სვიმ. ილარ. ფორაქაშვილი, ნიკ. გ. სესიაშვილი, მიხ. ივ. სესიაშვილი** (თბილისი) და სხ.

ამხანაგობის ხელშეკრულობა მოკლე ხანში დამტკიცდება და დაიბეჭდება. ორთავე რიგის ამხანაგათ ჩაწერა დღეიდანვე შეიძლება. ფული უნდა გამოეგზავნოს გამომცემელ ამხანაგობა „საქართველოს" დროებითი გამგეობის ხაზინადრებს: ილია მიხეილის ძე ხარაშვილს, (სომეხთა ბაზარი) ან ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს (საპიორის ქ. № 11).

ფულის გამომგზავნნი მათგან მიიღებენ შესაფერ კვიტანციებს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ გაზეთ „საქართველოს" რედაქციას (მოსკოვის ქ. № 4).

## გაკვრით

„სახალხო ფურცელი" ვრცელ მეთაურში ახასიათებს იმ მიმართულებას, რომელიც „კლდე"—„საქართველო"—„სამშობლო"-ს გარშემო აღმოცენდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილში კარგა ხანია უკმაყოფილების ხმა ისმოდა იმ სოციალისტურ ჯგუფებისადმი, რომელნიც ჩვენ საზოგადოებაზე განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდათ მოპოვებულიო. „სახალხო"-ს არ აკვირვებს, რომ გაბატონებულ სოციალისტურ მიმდინარეობების წინააღმდეგ ერთგვარი რეაქცია წარმოიშვა, ხოლო ის ამასთანავე არ უმალავს თავის მკითხველს, „რომ ბევრნაირი გამოხატულება ამ უკმაყოფილებისა (სოციალისტური მიმართულებების წინააღმდეგ) შედეგია ჩვენი ცხოვრების განვითარების მახინჯი ფორმებისაო".

რომ „სახალხო ფურცლის" მკითხველისთვის უფრო ნათელ ვყოთ, რომ ეს ახალი მიმართულება სწორეთ რომ შედეგია ჩვენი ცხოვრების განვითარების მახინჯი ფორმებისა, ჩვენ მას ერთ საოცარ მოვლენას მოვაგონებთ. გამოვიდა თუ არა სამოქმედო ასპარეზზე ეს ახალი არა-სოციალისტური ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა მან ხელი მიჰყო იმის მტკიცებას, რომ ერის ყოველ-მხრივი განვითარებისთვის საჭიროა გაძლიერება მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის, რაც ხალხის რეალი ცხოვრების აუცილებელ საფუძველს შეადგენს. აბა, სხვაგან შაგალითად ევროპაში რომელი პოლიტიკურ-სოციალური მიმართულება ისაჭიროებდა ამგვარ განცხადებებს. იქ ასეთს რამეს ისე შეხედავდენ როგორც იმის მტკიცებას, რომ ადამიანისთვის ჰაერი საჭირო საგანია.

მოწინავე ქვეყნებში თუ ათასი საქმეს აკეთებს, რეალურ საქმიანობაშია ჩაბმული, ერთი იქნებ კიდეც ოცნებობს და სიტყვით ქვეყანას აბედნიერებს.

ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში აქამომდე ასე არ იყო. ათასი თუ ოცნებობდა, ერთი საქმეს ეწეოდა, და ჩვენც გვჭირდება, და მრავალჯერ გვჭირდება იმის მტკიცება, რომ ეროვნული განვითარება არ შეიძლება გარეშე მისი ეკონომიური ძალთა გაძლიერებისა და სწორეთ ეს არის ერთი შედეგი ჩვენი ცხოვრების განვითარების იმ „მახინჯი ფორმებისა, რომელიც „სახალხო ფურცლის" და სხვა მოსოციალისტე მოღვაწეთა ცდა-მეცადინობით წარმოიშვა და განმტკიცდა ჩვენს საზოგადოებაში.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში ეხლა თურმე არც „სახალხო ფურცელი" უარყოფს, ხოლო მას ძლიერ აკვირვებს, რომ ახალმა **ჯგუფმა** „ასეთი ვიწრო ინტერესი დაისახა მიზნათ". თუმცა სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში ასეთს „ვიწრო ინტერესებს"—ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებას, არა ერთი და ორი, არამედ კიდევ მეტი პოლიტიკური მიმართულებები ემსახურება, მაგრამ ეს „სახალხოელებისთვის" მისაბაძი არ არის. ისინი ისეთს ფართო და „მარადიულ" მიზნებს ისახავენ, რომ ქართველი ერის ეკონომიური და მასთან ერთად ყოველმხრივი გაძლიერება—აბა რა სახსენებელია. საქართველოში ჯერ მთელი ერის ქონებრივათ გათანასწორება, ქართველის, სომეხის და სხვა ერების ერთმანეთთან შეთანხმება—შეკავშირება, შემდეგ ამისა რუსეთის, გერმანეთის, საფრანგეთის და ინგლისის ერთ ფედერაციაში მომწყვდევა და კიდევ ყველა მათი სიმდიდრის განსაზოგადოებრივება—აი ის მიზნები, რასაც ისახავენ „სახალხოს" სოციალისტები. აბა როგორ არ მოეჩვენებათ მათ „ვიწროთ" ის მიმართულება, რომელიც ქართველი ერის რეალ საჭიროებებს ემსახურება და მთელი დედამიწის გაბედნიერებას არ ლამობს.

ერთი რამ კი უნდა მოეფიქრა „სახალხოს" მემეთაურეს, როდესაც მისი მკითხველი ბოლომდის წაიკითხავდა ახალ, არა-სოციალისტურ მიმდინარეობის დახასიათებას და მის „ვიწრო ხასიათის" მიმართულებას, წარმოიდგენდა, ნუ თუ არ არის მოსალოდნელი, რომ მას კითხვა დაებადებოდა: ეს კარგი, უთუოდ ჩვენს სოციალისტებს, უფრო ფართო მიზნები აქვთ დასახული, მაგრამ განა ამ სურვილებმა ვინმეს რამე გაუკეთა? სოფელი გაღატაკებული, ქალაქი ჩვენთვის დაკარგული და სიტყვების, მხოლოდ სიტყვების რახა-რუხი მთელი კაცობრიობის ბედნიერებაზედ—აი ის რეალი შედეგი, რომელიც მოჰყვა მაღალ მაღალ სოციალისტურ იდეალებით გატაცებებს...

**ისკანდერ.**

## ილიასეული მამული

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 25 თებერვალს შეიმუშავა ილიასეულ საგურამოს მამულის იჯარით აღების ძირითად პირობების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით 1) სამეურნეო საზოგადოება იჯარით იღებს მამულს 12 წლის ვადით; 2) ამ ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოებას უფლება აქვს საიჯარო ხელშეკრულობა ისევ განაახლოს: 3) საზოგადოება მოვალეა გადაიხადოს ბანკის ვადიანი ვალები და იკისროს სახელმწიფო და საერობო გადასახადთა გასტუმრება; 4) საზოგადოება აგრეთვე კისრულობს პირობის შეკვრის დღიდან 6 წლის შემდეგ წლიურად გადაიხადოს 1,000 მანეთი იმ 10,500 მანეთიდან, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას დახარჯული აქვს ამ მამულზე; ამ რიგად საზოგადოება გადაიხდის 6,000 მანეთს თავისი %-ით, ხოლო დანარჩენ 4,500 მანეთის გასტუმრებას კისრულობს პირობის განახლების შემდეგ; 5) მამულს თუ რაიმე შემოსავალი ექნება, ამ შემოსავლის ნახევარს სამეურნეო საზოგადოება მისცემს წერა-კითხვის საზოგადოებას.

ამ პროექტს საზოგადოების საბჭო წარუდგენს განსახილველად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას.

## სახელმწიფო სათათბირო

### 25 თებერვლის სხდომა.

**ბაქოს ამბები.**

**თავმჯდომარეობს როძიანკო.** მორიგ საკითხად განსახილველია კავკასიის მეფის ნაცვლისა და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა ბაქოს გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა გამო.

**ჯაფაროვი.** ბაქოდან მიღებულ ცნობებით კვირას ბაქოში არეულობა დაიწყო სანოვაგის გაძვირების გამო. დიდძალი ხალხი, უმთავრესად ქალები, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ, ამტვრევდნენ მაღაზიებს, საწყობებს და საქონელს იტაცებდნენ. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბაქოს არეულობა განგებ არის გამოწვეული, რომელშიაც ადგილობრივ პოლიციის ბრალი არ მიუძღვის.

**სკობელევი.** რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა აკი განაცხადა, რომ ომიანობის დროს შინაური ბრძოლა შეჩერდესო. მძარცველებმა მაინც ამოჰყვეს თავი. ღმერთმა ინებოს, ბაქოს ამბები უკანასკნელი ყოფილიყოს. ბაქოს მაგვარ მოვლენათა ასაცილებლად საჭიროა ფართე საზოგადოებრივი თვითმოქმედება, რომელიც ერთადერთი საშუალებაა „პოგრომების" ასალაგმავად.

**პაპაჯანოვი.** ბაქოში მომხდარი ამბები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ბაქო მრეწველობის დედაგულია, რომელიც აწვდის ნავთს მთელს რუსეთს და კერძოდ თავდაცვის საქმეს.

შეკითხვა მიიღეს.

**სინოდის ხარჯთაღრიცხვაზე გადადიან.**

**მომხსენებელი პოტულოვი.** საჭიროა ძირითადი ცვლილებანი საეკლესიო ცხოვრებისა. არსებული წესით ყველა უკმაყოფილოა: ეპისკოპოსებიც, სასულიერო წოდებაც და საზოგადოებაც.

სინოდის დღევანდელი მართვა-გამგეობა თვითონ მმართველებსაც არ აკმაყოფილებს. ნივთიერად სხვა და სხვა გვარად დაკმაყოფილება ეპისკოპოსებისა ადგილიდან ადგილზე გადასვლას იწვევს. სოფლის კრებული თავისი მდგომარეობით შეწუხებულია. საჭიროა ძირითადი ცვლილება მრევლისა, რომ მრევლს შეეძლოს აქტიური მონაწილეობის მიღება. კონსისტორიები სადაო საქმეების გარჩევას ძალიან აჭიანურებენ და ამ ნიადაგზე ბევრი ბოროტ-მოქმედებაც ხდება. არც სასულიერო უწყების სასწავლებლებია დაკმაყოფილებულ მდგომარეობაში და მძიმე ტვირთად დასწოლია სოფლის სამრევლოებს. ვამჩნევთ, რომ სასულიერო პირთა განათლების ცენზს თანდათან უკლებენ. ამ ბოლო დროს, ვითომც სამღვდლო პირთა საკმაო რიცხვის უყოლობის გამო რაღაც ვოსტორგოვის კურსები დაარსეს მოსკოვში, სამღვდელო კურსები—ჟიტომირში და ორენბურგში. სასულიერო აკადემიები, როგორც კარჩაკეტილი სასწავლებლები, საკმაო რიცხვს არ იძლევიან მომზადებულ მწყემსებისას. თუმცა ზემოხსენებულს ყველა ეთანხმება, მაგრამ ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობს. ამის მიზეზი გახლავთ დღეს გაბატონებული ბიუროკრატიული წესები. რომელიც მოციქულთა კრების წესებს არ შეეფერება, რადგანაც ამ წესის მიხედვით ეკლესია უნდა ემყარებოდეს ფართე ადგილობრივ თვითმართველობას. ადგილობრივი საეკლესიო ყრილობა კანტროლობას უნდა უწევდეს საქმეს. საჭიროა ამ წესებს დაუბრუნდეთ. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოიწვიონ სრულიად რუსეთის ადგილობრივი საეკლესიო ყრილობანი, რომელიც მოაწესრიგებს საეკლესიო კანონმდებლობას.

**სინოდის ობერ-პროკურორი** აღნიშნავს: განზრახულია დაწესება სამიტროპოლიტო ოლქებისა, განზრახულია მღვდლების პენსია 900 მანეთამდე გადიდდეს, მთავარ-დიაკვნებსა—600 მ., მედავითნისა—300 მ. ხალხში გავლენის მოსაპოვებლად დიდი განათლება არ არის საჭირო, საკმარისია მისიონერმა თავისი საქმე იცოდეს. მისიონერებზე გერმანეთი და სხვა ქვეყნები დიდძალ ფულსა ჰხარჯავენ, ჩვენ კი მხოლოდ 600 ათასი მანათი გვეხარჯება. რაც კი რაიმე დიდებული გააჩნდა რუსეთის წარსულში, ყოველისფერი ეკლესიის კალთის ქვეშ განვითარებულა. ეკლესია ყოფილა მუდამ ჩვენი სულიერი სიმაგრე და ასეთივე იქნება მერმისშიაც. (ხმები მარჯვნივ: „ვაშა").

**თავმჯდომარე.** საჩქარო შეკითხვა მივიღეთ ებრაელთა საკითხის თაობაზე, რომელსაც ხვალ განვიხილავთ.

საეკლესიო საკითხის განხილვა ხვალის კრებაზე გაგრძელდება.

## ჩვენებური „იდეის ხალხი"

ვერ ვიტყვით, რომ ქართველები უიდეიო ხალხი იყოს არ მოგვეპოვებოდეს ხალხის მოყვარული გმირები, სახალხო საქმისთვის თავდადებულები. ამას ვერ ვიტყვით მეტადრე მის შემდეგ, თუ მოვისმენთ იუბილეიზე. დასაფლავებზე ან სუფრაზე წარმოთქმულ მქუხარე და გრძნობით სავსე სიტყვებისმადრევანს. ამ დროს რომ უცხომ გვნახოს შურით გული აევსება და იტყვის ქართველებისთანა ბედნიერი ერი არსად არ უნდა იყოსო. ასეთი ვართ საგარეოთ, ასეთია ჩვენი სამოსელის ზედა პირი, მაგრამ სულ სხვა ვართ საშინაოთ, სულ სხვაა ჩვენი ტანისამოსის სარჩული. გარედან მტერს უყენებთ თვალებს, შიგნიდან მოყვარეს. არ მინდა ვიყო გულგატეხილი, მინდა მრწამდეს მომავალი, მრწამს კიდეც, მაგრამ არ შეიძლია თანამედროვე ჩვენს ცხოვრებასაც ანგარიში არ გაუწიო. პირიცა და სარჩულიც არ გავსინჯო. შენც თუ ასე მოიქცევი, ჩემო მკითხველო, დამეთანხმები, რომ ჩვენ იდეის ხალხი გვაკლია, ძლიერ მცირე გვყავს. და თუ გვყავს, ჩვენებურ საზოგადო მოღვაწეთა იდეია და საქმიანობა ქალაქს (ქალაქშიაც მთავარ ქუჩას) არ სცილდება. სოფელი უპატრონოთ რჩება, სოფლის შვილი სოფელს გაურბის და ქალაქის ხორცმეტად ეკოსება. ამ მხრივ ჩვენზე ბევრით მაღლა დგანან რუსები. რუსი იდეალისტი, მდიდრისა და არისტოკრატის შვილი სამოღვაწეოთ ქალაქიდან სოფლად მიდის. სოფლადაც ყველაზე ყრუ და ჩამორჩენილ კუთხეს ირჩევს, ხელს იღებს ფუფუნებაზე და იქ ტეტიათა შორის თავდავიწყებით იწყებს შრომას. რუს „ნაროდნიკს" ქალსა და კაცს ვერ აშინებს სოფლად მოღვაწეობა, სოფლელების უვიცობა (საშიშარი ცრუ მორწმუნეობა, ლოთობა და სხვა), ვერ აშინებს უგზოობა, უფოსტობა, ყოველ გასართობისა და სულიერ საზრდოს მოკლება, ის გატაცებით და თავდავიწყებით იტანს ყოველივეს, ხშირად ის (სოფლად მოღვაწე) გარეგნულად ველურდება, კულტურულათ ადამიანს ნიშან წყალს კარგავს, მაგრამ თუ კი ის ხედავს, რომ წელიწადში ათიოდეს მაინც ასწავლა წერა-კითხვა, თუ კი ვაახერხა წელიწადში ორიოდე სახალხო კითხვის ან წარმოდგენის მოწყობა, სახალხო წიგნების გავრცელება, სოფლის საჭიროების შესწავლა, და სხვა ის თავის მოქმედებით კმაყოფილია, ურიგდება დუხჭირ ხვედრს უდრტვინველად იტანს, ის მედგარია, ნამდვილი გმირია, არ შედრკება, ქედს არ იხრის.

რუსეთში ჩემ უნებურად მოგზაურობამ, „უფასო სასტუმროებში" ყოფნამ ამ გმირებს გამაცნო და შემაყვარა. ბევრი ვნახე და გავიცანი მდიდარი ოჯახის შვილი, გვარის შვილი, რომელთაც შეეძლოთ მშობლების მემკვიდრეობით არალ-თარალეთი ეცხოვრათ, ან ქალაქის ადგილას თფილი ადგილი ეშოვნად, მაგრამ იმათ დაეთმოთ ყველაფერი, აეტანათ მშობლების ცრემლი და წყევა. წასულიყვნენ სოფლად და ჯილდოთ მიეღოთ ბორკილი და ცივი ციმბირი, მაგრამ ისინი ბედს არ სწყევლიდნენ, არამედ მადლიერიც იყვნენ, რადგანაც შესძლეს სიბნელეში ჭრაქის ანთება.

მერე არ იკითხავთ თუ რას იღებენ რუსეთის სოფელში მოღვაწენი შრომის გასამრჯელოდ. ზოგიერთ ადგილას 12 მანეთს თვეში და 30 მანეთზე მეტს ხომ თითქმის არსად. მაგრამ ისინი ახერხებენ იცხოვრონ ამ ჯამაგირით და ამავე დროს ახერხებენ იკითხონ სერიოზული წიგნები და მისდიონ თვითგანვითარებას.

ხშირად ძლიერ ხშირად შეხვდები რუსეთის ყრუ ადგილას, უდაბურ „ტაიგაში" მოღვაწე „კურსისტკას". ეს გმირი ადამიანები გულს არ იტეხენ და სოფლად რამდენიმე წლის მოღვაწეობის შემდეგ ისევ შედიან უმაღლეს სასწავლებელში, საცა რჩებიან ერთ-ორ წელიწადს ცოდნის შესავსებლად, ანუ როგორც თვით იტყვიან გადასახალისებლად. საკვირველია რუსი იდეის ხალხის ენერგია, წარმოიდგინეთ კურსებზე შეხვდები 50 წლის ქალსაც კი. უკვე ბებიას. უმეტეს შემთხვევაში ასეთ მხნე ქალებს თუ კაცებს სწავლის განსაგრძობი ნივთიერი საშუალებაც კი არ აქვთ, მაგრამ რაკი ერთხელ გადასწყვიტეს რამე, არავითარი დაბრკოლება არა სწამთ. შორს წაგვიყვანს მათი დახასიათება. მიუბრუნდეთ ისევ ჩვენებურ იდეის ხალხს.

ჩვენში თუ სამოქალაქო სასწავლებელი დაასრულა ვაჟმა, ან ქალმა პროგიმნაზიის ორი კლასი, თავი უკვე „ნასწავლად" მოაქვს, კმაყოფილია და ამის შემდეგ საჭიროთაც არ მიაჩნია წიგნი წაიკითხოს, ჟურნალ-გაზეთებს ადევნოს თვალ-ყური.

ის უკვე მომწიფებულია, იწყებს მასწავლებლობას და ორიოდე წლის შემდეგ, როგორც ფრიად „გამოცდილი" მასწავლებელი უკვე ქალაქში ეძებს ადგილს. ვიმეორებ სოფელი ყველას აბუჩად არის აგდებული. წერა-კითხვის მცოდნე სოფელს გაურბის და როცა სოფელშია დიდს საქმეს არც მაშინ აკეთებს. ძნელად ნახავ სოფლის ისეთს მასწავლებელს, რომელსაც დაევლოს მთელი მაზრა, შეესწავლოს ამ მაზრის ყოფა-ცხოვრება და საჭიროება და შეეძლოს თავის მოწაფეებს მისი მაზრის გეოგრაფიული ცნობები მიაწოდოს.

ამ რამდენიმე წლის წინად, როცა სოფლად სასოფლო სკოლები ახლად იკიდებდა ფეხს, სასოფლო სკოლების მასწავლებლების მდგომარეობაც დღევანდელთან შედარებით უარეს პირობებში იყო, იმ დროს სოფლის მასწავლებლებთა შორის მეტი იყო იდეის ხალხი. ბევრმა მათგანმა შესძლო ერთ ადგილას ემასწავლებლა 30—40 წელიწადი და ამავე დროს სოფლის სხვა საჭიროებისათვისაც მიექცია ყურადღება. ერთი სიტყვით ძველ მასწავლებლებში კიდევ იყო ისეთი ხალხი, რომელთაც სოფელი გატაცებით უყვარდა სამაგიეროდ სოფლელებსაც უყვარდა ისინი. ასე უყვარდა სოფელი ძველ მოღვაწეს; მაგრამ დღეს რას ვხედავთ? სოფელს გაურბიან, სოფელი უინტელიგენტოთ რჩება. თუ ხანდახან, „სოროტათ", ზოგიერთი ინტელიგენტი სოფელს მოწყალე თვალით შეხედავს, ისიც დროებით, სულ ადრე კარგავს ენერგიას, ადრე უტყდება გული და ისევ ქალაქისაკენ მიისწრაფის, ისევ ქალაქში ეძებს მყუდრო ბინას. თუ მადლიანი გამოერია და სოფლად მოღვაწეობა დაისახა მიზნად ის რუს „ნაროდნიკივით" ყრუ სოფელს კი არ ეძებს, არამედ ირჩევს „მოქალაქო" სოფელს ან დაბას, რკინის ზგის ახლოს. ჩემი ნათქვამის დასასურათებლად — (საილიუსტრაციოთ) ავალაპარაკებ ფაქტს: როგორც უკვე მოგეხსენებათ საქველმოქმედო საზოგადოება აჭარა-ქობულეთში ხსნის სკოლებს. საზოგადოება შეცდა და გამოაცხადა რომ მასწავლებელს ჯამაგირი ექნება თვეში ათი თუმანიო.

შეიძლება „ყველა ერთი ჯოხით არ გაიდენოს", შეიძლება ზოგს მართლა იდეია და მოძმე მუსულმანთა შორის მოღვაწეობა აინტერესებდა, მაგრამ აჭარაში მასწავლებლობის ადგილის მთხოვნელთა უმეტესობა, რომ ჯამაგირს დახარბდა ამაში ეჭვი აღარ არის და ეს თვით მთხოვნელებმა დაადასტურეს. თითქმის მთხოვნელთა ყველა თხოვნა ერთი დაურჯაკისაა (შაბლონი) ყველა მოხარულია, რომ შემთხვევა ეძლევა „მოძმე მაჰმადიანებთან" დაახლოების, მათში მუშაობის, მზათ არიან ბეჯითად იმუშაონ. ერთი სიტყვით თხოვნების წაკითხვა თუ (ქართულს არ მიაქცევ ყურადღებას) გულს გადაგიხალისებს, გაგამხნევებს და გაოქმევინებს, რომ სახალხო მოღვაწენი, სოფლის მოჭირნახულენი ჩვენცა გვყავს. გეგონება, რომ ყველა მთხოვნელი საცა კი ხელმძღვანელნი მიუთითებენ იქ წავლენ და დაუზარებლად იშრომებენ. მაგრამ ვაგლახ რომ ეს ასე არ არის. ზოგიერთებმა როცა გაიგეს, რომ საზოგადოების სკოლაში სამსახური პენსიის მისაღებად არ ჩაეთვლებოდა, თხოვნა უკან წაიღეს, ზოგმა ვაჭრობა დაიწყო და ათ თუმანზე მეტი მოითხოვა, ზოგმა მთელი არ დადეგები (კანიკული) ესე იგი ორ თვეს ვიმუშავებ და მერე სამს ჯამაგირი მეძლიოსო, ზოგი ითხოვს ადგილი მიეცეს ქობულეთში ან ბათუმში და არა სოფელში. ბათუმისა და ქობულეთის მახლობლად უნდა გაიხსნას ორი სკოლა, საჭირო იქნება ოთხი მასწავლებელი (ორი ქალი და ორი ვაჟი), დანარჩენი სკოლები იხსნება ყრუ სოფლებში, საცა მასწავლებელთა დიდ უმეტესობას წასვლა არ ეხალისება. მასწავლებლებზე მეტი მადა აღმოაჩნდა ერთ მეურნეს (აგრონომს), რომელიც თანახმაა იმსახუროს საზოგადოების სკოლაში, მაგრამ ისიც ითხოვს არდადეგების დროს იყოს თავისუფალი. მითხარით რა მეურნეა ის მეურნე, რომელიც გახურებული მეურნეობის დროს მოშორდება ბაღბოსტანს.

ერთი სიტყვით თუ სოფელს გადმოიტანთ ქალაქში ან რომელიმე საკურორტო ადგილას, მაშინ „მოღვაწე" მასწავლებლებიც გამოჩნდებიან, დღეს კი ნაკლები იმედი უნდა გქონდეთ, ჯერ ვერ იშოვნი მოღვაწე-მასწავლებელს და თუ იშოვნი, დარწმუნდით, ისინიც სავასტროლოდ წავლენ, და ეცდებიან ისევ ადრე დაუბრუნდნენ ქალაქის „იდეიურ" ცხოვრებას.

ახლა ორიოდე სიტყვა აჭარაში წამსვლელ მასწავლებელთა საყურადღებოთ. ამ სათაურით ამ დღეებში „სახალხო ფურცელში" (№ 511) წერილი იყო დასტამბული. წერილის ავტორს ნარ-ქანს ზოგად მოსაზრებებში ვეთან-

ხმებით, მაგრამ არ ვიზიარებთ ზოგიერთ მის „რეცეპტს", მაგალითათ ნარქანი ბრძანებს, რომ აჭარის სკოლის მასწავლებელმა უპირველეს მიზნად უნდა დაისახოს გამტკიცება იმ აზრის, რომ აჭარლები ქართველებია. ცხადია, თუ აჭარაში შევდივართ სამოქმედოდ სწორედ იმიტომ რომ ისინი დავიახლოვოთ, ვიძმოთ, ვენათესაოთ, საერთო ლხინ-ვარამი შევქმნათ, მაგრამ ამ კითხვას იქ მოღვაწე მასწავლებელი ან სულ არ უნდა შეეხოს ანდა დიდის სიფრთხილით, რადგან აჭარლებისათვის ქართველობისა და ქრისტიანობის ქადაგება ერთი და იგივეა. ყველაზე უმჯობესია მასწავლებელმა არავითარი ქადაგება არ დაიწყოს, არამედ დიდსა და პატარას ასწავლოს წერა-კითხვა, შეაყვაროს წიგნების კითხვა, შეაყვაროს ადამიანური ცხოვრება, გაუღვივოს მოქალაქეობრივი გრძნობა, გამოიყვანოს სიბნელე—უვიცობისაგან და მიზანი უკომენტაროთ, უქადაგებლადაც მიღწეული იქნება. არ მესმის რას ნიშნავს „სახალხოს" სიტყვა „ნამდვილი ქართველი". ან რა მოსატანია აქ ეს სიტყვა. აჭარაშიაც და ყველგან სკოლაში უნდა მსახურებდეს ნამდვილი მასწავლებელი—ოსტატურად მწვრთნელი ყრმათა და სოფლის მოღვაწე. აჭარაში განსაკუთრებით უნდა წავიდეს სახალხო მოღვაწე, რომელიც სკოლის გარეშეც არ დაიზარებს ხალხის გათვითცნობიერებას. წერა-კითხვის გავრცელება, მეურნეობის აღორძინება *), ოჯახური მეურნეობის (სასმელ-საჭმელი, ბინა, ტანსაცმელი) გაუმჯობესება, ხალხის დაახლოება და მათი სრული ნდობის მოპოება, აი რა უნდა დაისახოს მიზნად აჭარაში მოღვაწე მასწავლებელმა. ყველა ამას კი სჭირია ტაქტი და ხალხის სიყვარული.

აპ. წ.

## მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

წარსულ წლის „საქართველო"-ს ფურცლებზედ გაკვრით მქონდა აღნიშნული, თუ რაგვარ სიბნელის მორევში სცურავენ ოსმალ-ქურთები, რომელნიც კვლავ უვიც მოლების მსხვერპლნი არიან და გამჯდარი აქვთ ძვალ რბილში განუშორებელი ცრუ „ფანატიზმი". არა მგონია რუსეთის იმპერიაში მცხოვრები, რომელიმე ეროვნება ისე ჩამორჩენილი იყოს კულტურულ საფეხურს, როგორც არის ოსმალო... მათთვის დედამიწის ზურგზედ, მათი სოფლის მოლას მეტი აღარავინ არსებობს... რა არის კოოპერაცია, თეატრი, სამკითხველო? არც კი იციან საჭმელია თუ სასმელი... ათასში ერთი თუ გამოვა რომ ჩათვლით იცოდეს წერა-კითხვა. მეურნეობა ხომ ძველთაძველია და თუმცა მამული ყველას წესიერად ეძლევა, მაგალითად, რამდენი სულიც არის ოჯახში, იმდენი დესეტინა სახნავ-სათიბი აქვს მაგრამ რა გამოვიდა, მეურნეობის უცოდინარობით არაფერი სარგებლობა არა აქვთ. ამის გარდა მათი სიბნელით ბევრი სარგებლობს და უმეტესათ „ჩარჩი" ვაჭრები, რომელნიც ტყავს აძრობენ ოსმალ გლეხებს... გლეხობა ამ ვაჭარ-ჩარჩებს ნდობით ექცევა, რადგან თვით წერა-კითხვა არ იციან და ამ უკანასკნელთაც მთელი წლის ნაამაგდარი მიაქვთ ერთი ორად დაწერილი დავთრის წყალობით. ამიტომაც ოსმალო გლეხები ყოველთვის სიღარიბეს განიცდიან. მხოლოდ ორი სამი წლის მოსული ჩარჩი მალე „აღას" სახელს იმსახურებს... მე აქ სრულიად არ ვამტყუნებ გლეხობას, არამედ მაჰმადიანთა ინტელიგენციას და მათ წე- [illegible]

*) გურიაში ერთ დღის (80 წლებში), [illegible]

აპ. წ.

კულტურულ ამაღლებისთვის, ვისაც მარტო თავის მყვირალა-ფრაზებით მოღვაწის სახელის დამსახურება არა სურს. უნდა დაუახლოვდეს ერს.. და მისი კეთილდღეობისთვის ზრუნავდეს...

მარტო პერანგების და საბნების დარიგებით ოსმალ დაბეჩავებულ ერს გაჭირვებიდან ვერ იხსნით... სინათლე, სწავლა—აი გაჭირვებიდან მხსნელი იარაღი...

ვ. ს—შვილი

## სიღნაღ-თუქურმიშის გზა

გაზეთ „საქართველო"-ში ეს მეორე წერილი იყო მოთავსებული სიღნაღ-თუქურმიშის გზის შესახებ. რომლის ავტორიც ეხება პირადად მარტოდ გზის ამღებს და არა იმათ ვისგანაც ჩვენ ავიღეთ და ვინც სათავეში უდგია ამ საქმეს. ნუ თუ ამას ვერა გრძნობს ან ავტორი და ან საზოგადოება? თუ რაიმე უსამართლობა არის და უწესობა ეგ ჩვენი ბრალი კი არ არის, თვით სოფლის მოხელეებისა, რომლებმაც „პრიგოვორები" წარმოადგინეს. რაც შეეხება გზის შეკეთებას, ეს ყველასათვის აშკარა არის რომ გუბერნატორის განკარგულებით იყო მხოლოდ ბეგარით, რა თქმა უნდა კომლზედ 2 მ. 50 კ. განაწილება ვისის გაწონაგარიშებით და გადაწყვეტით მოხდა, ამისი არაფერი ვიცი. მე მხოლოდ შემთხვევით მოვხვდი ქვემო მაჩხაანის ბოქაულ თავ. გურამიშვილთან, როდესაც სოფ. მაღაროს მამასახლისმა წარმოუდგინა განჩინება (პრიგ.) დადგენილი სოფლის ყრილობაზედ რომლებსაც ერთხმათ გადაეწყვიტათ, რომ ბეგარით გამოსვლა ჩვენ არ ძალგვიძსო და ჩვენთვის სასურველია ფულად გადაგვახდევინოთო. (2 მან. 50 კაპ.). მე ვკითხე ბოქაულს, ეს რა გზას აკეთებთ და ვისი ბრძანებით არის მეთქი. ბოქაულმა მიპასუხა რომ; გუბერნატორის განკარგულება არის: სიღნაღ-თუქურმიშის გზა შეაკეთეთო და რადგანაც მცხოვრებლებს არ უნდათ ბეგარით გამოსვლა და თანახმა არიან ფულად გადაიხადონ, (თუმცა კი ჩვენ სრულებით ფული არ გვითხოვნიაო და თვითონ ასე მოისურვესო), ამისათვის ტეხნიკი, რომელიც დანიშნულია საგუბერნიო მმართველობიდან სახელდობრ ბ. მ. ასტანინი წავიდა თუქურმიშაში რათა მოელაპარაკოს თუქურმიშის ბოქაულს, გზის ამღებთ, ოთაროვს და ან პაატოვს, რომლებიც თანახმანი არიანო მხოლოდ პირობებზედ უნდა მორიგდნენო. რა გავიგე გვარები სომხებისა, მე შევეკითხე ბოქაულს სომხებს არ გადასცეთ ჩვენი საქმე. განა აქ ქართველი კი არავინ მოიპოვება, რომ ეგ საქმე შეასრულოს მეთქი ბოქაულმა მიპასუხა, ქართველი კიდევ შენა ხარო და შენ იკისრეო, მე არ ვსთანხმდებოდი რადგანაც ძალიან ცოტა მესმოდა გზის საქმე მაგრამ მერე დამარწმუნეს, რომ ტეხნიკი შინაური კაცი არისო და ყველაფერში იოლად გაგიყვანსო, მეც ვიფიქრე თუ კი პაატოვი უფრო გამოცდილი კაცია და კისრულობს ამ საქმეს, მაშასადამე ხეირიანი საქმე უნდა იყოს მეთქი. ასე ვიფიქრე და დავთანხმდი. თუქურმიშიდან დაიბარა ტეხნიკი, მოვიდა იმანაც ამიხსნა, რომ ყველაფერი კარგად წავაო მით უმეტეს, რომ სუყოველისფერი ჩემს ხელში არისო და გუბერნატორიდან მე მაქვს დავალებულიო. ამ დროს იქ ბრძანდებოდნენ ყველა მამასახლისები და ბოდბისხევის მამასახლისიც ბ-ნი შაქრო ნაცვალოვი, რომელიც უხსნიდათ, რომ ეს აუცილებელი ჩვენი გასაკეთებელია და ამ კალონობის ჟამს, როდესაც კაცი [illegible]

სალებზედ. გაშლილი ქვიშა რომ არ ვიანგარიშოთ, დღეს არის 4000 ვენუსი, რომელიც თითო კონუსის დადგმა ჯდება 1 მ. 50 კ. ეს დაიჭერს 6000 მანეთს წვრილმანებს რომ არ გამოვუდგეთ, მე მაქვს სულ დახარჯული 21300 მანეთი მთელი გზა სულ გაკეთებული და მხოლოდ კონუსებილა არის გასაშლელი და ამაში მიღებული კი მაქვს 14000 მანეთი. ასე რომ ჩემი საკუთარი შვიდი ათასი მანეთი მაქვს დახარჯული. მარწმუნებდნენ ტეხნიკიც და ბოქაულიც რომ ნამდვილად ფულს ავიღებთო. ახლა ამ შვიდი ათას მანეთს დაუმატეთ ის სამი ათასი მანეთი, რომელიც ტეხნიკმა გამომართვა ბეს სახით რომ საგუბერნიო მართველობას უნდა გადავცეთო და ნამდვილად კი თავისი ჯიბესთვის გადაუცია. აღარ ვიცი ვის მივმართო და ვისგან მივიღო ეს ათას თუმანზე მეტი ჩემი საკუთარი დახარჯული ფული?

რამდენჯერმე მივმართე მაზრისს უფროს თხოვნით, რომ ფულს აღარ იძლევიან და დახმარება გამიწიეთ რომ ფული ავიღოთ მეთქი. იმან მიპასუხა, ეგ ჩემი საქმე არ არის მე არ მეხებაო. პირობისამებრ ყოველ გაკეთებულს საქმეში მუდამ კვირა ფული სრულად უნდა ჩაებარებინათ, მხოლოდ ათი პროცენტის უკან დაჭერით, ეხლა კი აქვთ უკან დაჭერილი ორმოცდა ათი პროცენტი და ამის მიღებას ვეღირსებით თუ ვერა ღმერთმა იცის!

ძმანი ლაპიაშვილნი.

## ღია წერილი

ბ-ნ შალამბერიძეს.

გაზეთ „საქართველო"-ში (№ 36,37) დაბეჭდილია თქვენი წერილი „კავკავის ავ-კარგი", რომელშიც თქვენ უმთავრეს ადგილს უთმობთ ქართულ სკოლას მასწავლებლებითურთ, აღნიშნავთ, მის არა სასურველ მდგომარეობას, უჩვენებთ მის წარმატების სასურველს გზას და ბოლოს დასძენთ: „კავკავის სკოლის მასწავლებლები კი, საგნის ჯეროვანად ცოდნას ვინა სჩივის, ხშირად **ზნე დაცემულნიც** კი ყოფილანო და ამისთანა მასწავლებლებს აქაური გამგეობის წევრები ხელს აფარებდნენ და საქმესაც კი **თურმე** უწყობდნენო". შემდეგ თქვენს წერილში ქართული სკოლის დაქვეითების მიზეზი, როგორც **გაგვიგონია**, ძველ და ახალ გამგეობის წევრების ერთმანეთში უთანხმოება ყოფილა. დასასრულ ეხებით ქ-ნ ქიქოძის და წერა-კითხვის მასწავლებელ ქალს შუა მომხდარ ინციდენტს; გამოდიხართ დამცველად ქ-ნ ქიქოძისა, როგორც „საუკეთესო იდეალებით გამსჭვალულის და საქმის მოყვარული პიროვნებისა, ბრალსა სდებთ გამგეობას, რომელმაც საქმის **გამოუძიებლად,** ზემოხსენებულ ინცინდენტის გამო გააძევა ქ-ნი ქიქოძე ქართულ საზოგადოებიდან და სხვა და სხვა.

არ ვეჭვობ თქვენი წერილის გამო პასუხს მოგვთხოვენ, როგორც ყოფილნი მასწავლებელნი კავკავის ქართულ სკოლისა, ისე ძველი და ახალი გამგეობა. მეც, როგორც ერთი ყოფილი მასწავლებელთაგანი კავკავის ქართული სკოლისა, მასთან თანამედროვე თქვენი „მოღვაწეობისა" კავკავში, ამ წერილით ვთხოულობ თქვენგან, მომცეთ პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) როდესაც თქვენ წერილში ეხებოდით კავკავის სკოლის მასწავლებლებს, მათ უვიცობას, ზნე-დაცემულობას, გყავდით მეც მხედველობაში თუ არა? თუ მეც ვარ ნაგულისხმები თქვენ წერილში, ამიხსენით, რაზედ ამყარებთ თქვენ დებულებას—რომ მე საგნის ჯეროვანად ცოდნას მოკლებული ვიყავი და [illegible] 14 ოქტომბრის 1915 წ. [illegible]

ამ კითხვებზე ერთი კვირის განმავლობაში უნდა მომცეთ პასუხი, პასუხი დასაბუთებული. მიუდგომელი (!?) ქართველი მოღვაწე, ასეთი რიხით რომ გვითითებს სიმართლის, ზნეობის, მოვალეობის შეგნების გზისკენ რაინდულად გვიწვევს უფსკრულიდან ზევით, რომლის მწვერვალზე, ალბად თითონ სდგას, მწამს თვით არ მოექცევა მას ძირზედ და ყოველ დებულებას დაასაბუთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება მეძლევა მივმართო იმ გზას ჩემი პატივის აღსადგენად, რომელსაც საჭიროდ დავინახავ, რადგანაც მე, როგორც ყოფილი მასწავლებელი კავკავის ქართული სკოლისა თავს შეურაცხყოფილად ჩავთვლი. თქვენს საქციელს კი ვუწოდებ იმ სახელს, რომელიც სავსებით გააშუქებს თქვენს პიროვნებას. ამასთანავე გახსოვდეთ ვისარგებლებ თქვენის ლოღიკის ტერმინებით „თურმე", „ამბობენ" და რის უფლებასაც მომცემს თქვენგან ნასესხები „ლოღიკური საბუთები" დას კვნასაც იმისთანას გამოვიყვან.

კავკავის ქართულ სკოლის ყოფილი მასწავლებელი ქალი

ელენე ციცქიშვილი.

## დაბა-სოფლები

**ს. შილდა** (თელავის მაზრა). აქ მდებარეობს თავ. მამუკა ორბელიანის სახნავი მამული, რომლის სივრცე უდრის 120 დღიურს. ამ მამულს, მისი მოურავი აქირავებდა ადგილობრივ გლეხებზედ, დღიურს სამ მანეთად. გლეხი მოიჯარადრე, მოურავის ხელში გაუჭირვებლად, დღეს არა, ხვალ, როდესაც საშუალება ეძლეოდა იხდიდა ხვედრ ღალას. დღეს, როდესაც გლეხის ოჯახს მოაკლდა მაშვრალი ხელი, როდესაც იგი ეხლა უფრო მეტ სიმწვავეს განიცდის ეკონომიურად; როდესაც ყველა ქართველი ზნეობრივად მოვალეა ხელი გაუწოდოს თავის მოძმეს, გაჭირვება შეუმსუბუქოს, სწორედ დღეს შლიან ფრთებს ზოგიერთი ვაჟბატონები და გაჭირვებულ გლეხს უარესად უხუთავენ სულს. ასეთ არა საგმირო საქმეთ უნდა ჩაითვალოს, ცნობილ, ს. ყვარლის მცხოვრებელ ა. როზომაშვილის საქციელი, რომელიც ჩავიდა ქ. თბილისში თავ. მ. ორბელიანთან და მოახსენა მოურავის პირით: ვითომც იგი დაუძლურებულია, ავათმყოფობს და აღარ შეუძლიან მამულის ყურის გდება. სთხოვს თავადს: გაანთავისუფლოს იგი ამ თანამდებობისაგან და უთითებს სანდო კაცზედ (ა. როზომაშვილზედ), რომელიც აიღებს იჯარით მის მამულს რამდენიმე წლით და წლიურ გადასახადს წლის თავშივე გადიხდის. გასჭრა სიყალბემ. თავადმა დაიჯერა ა. როზომაშვილს და ვ. გოიშვილს გადასცა მამული რამდენიმე წლით. დაბრუნებისთანავე, ამ უკანასკნელთ, გამოუცხადეს გლეხებს, რომელთაც წინანდელი მოურავისაგან აღებული ჰქონდათ მამული და უკვე დამუშავებული, რომ დღეიდან თავ. მ. ორბელიანის მამული მათ ხელშია და ვინც დღიურზედ არ გადიხდის ორ კოდ პურს ანუ ფულად როგორც ეხლა პური ფასობს 20 მ., ნაოთხალს მოსავლისაც ჩვენ წავიღებთო! აქაური გლეხი ძლიერ სივიწროეს განიცდის სახნავის მხრივ და როზომაშვლის მოიჯარადრეობით უზრუნველ ყოფილნი არ არიან რომ, ხვალ და ზეგ იგი ამ მამულს სხვა სოფლის გლეხებს არ გადასცემს მეტის მოგებით, რაც ერთის მხრით უარეს მყვლეფელობას გამოიწვევს გლეხთა შორის, და მეორეც—შუღლს დაჰბადებს მეზობელ სოფელთა შორის, ვინაიდგან ადგილობრივი გლეხი იძულებული გახდება სხვაგან [illegible]

## შემოწირულება

[illegible]

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers
აქ დაიწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო პეტროგრადის საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 | ს. 58 | წ. დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 | „ 23 | „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 | „ 43 | „ „ |
| ვაზიანიდან . . | 10 | „ 42 | „ |
| იორიდან . . . | 11 | „ 35 | „ „ |
| საგარეჯოდან . . | 12 | „ 17 | „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 | „ 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 | „ 37 | „ „ |
| გურჯაანიდან . | 4 | „ 08 | „ „ |
| ვაჩნაძიანიდან . | 4 | „ 58 | „ „ |
| თელავში მიდის . | 5 | „ 35 | „ „ |
| გურჯაანიდან . | 4 | „ 18 | „ „ |
| კარდენახიდან . | 4 | „ 50 | „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 | „ 15 | „ „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 | ს. 58 | წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 | „ 45 | „ „ |
| გურჯაანიდან . | 10 | „ 46 | „ „ |
| მელაანიდან . | 12 | „ 02 | „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 | „ 13 | „ დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 | „ 15 | „ „ |
| იორიდან . . . | 2 | „ 53 | „ „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 | „ 40 | „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 | „ 31 | „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 | „ 46 | „ „ |
| თბილისში მიდის . | 5 | „ 01 | „ „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 | ს. 16 | წ. დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 | „ 46 | „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 | „ 16 | „ „ |


## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ"-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი **„ნაკადული"** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული" არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული"-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули", Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

[illegible]

## წიგნის მაღაზია „ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

[illegible]

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეძველოვები

[illegible]

## განყოფილება ავლაბარში

[illegible]